Entschuldigungsgründe

Das **deutsche Recht** kennt mit dem entschuldigenden Notstand (§ 35 dStGB) und dem Notwehrexzess (§ 33 dStGB) zwei normierte Entschuldigungsgründe. Bei den Entschuldigungsgründen wird infolge einer bestehenden Konfliktlage der Unrechts- und Schuldgehalt der Tat soweit herabgesetzt, dass der Gesetzgeber von der Erhebung eines Schuldvorwurfes absieht. Kennzeichnend für die Entschuldigungsgründe ist, dass der Täter sich in einer außergewöhnlichen Situation einem so großen Druck ausgesetzt sieht, dass ihm die Einhaltung der Gebote und Verbote des geltenden Rechts kaum mehr möglich oder zumutbar ist. Auf Gesetzgebungsebene kennt das **georgische Recht** dagegen keine derartigen Entschuldigungsgründe. Art. 38 gStGB (Befreiung von strafrechtlicher Verantwortung bei sonstigem nichtschuldfähigen Handeln) enthält keine Aufzählung spezifischer Entschuldigungsgründe, sondern dient als Auffangnorm, die die Beurteilung einer möglichen Entschuldigung jeweils in das Ermessen des Gerichts legt. So kann beispielsweise von Strafe abgesehen werden, wenn – ähnlich dem entschuldigenden Notstand (§ 35 dStGB) – die strafbare Handlung unvermeidbar war. Auch die Überschreitung der Notwehr (§ 33 dStGB) ist im gStGB nicht als allgemeiner Entschuldigungsgrund geregelt. Vielmehr sind diesbezüglich deliktsspezifische Strafmilderungen vorgesehen, z.B. Art. 113 gStGB (Totschlag bei Überschreitung der Grenzen der erforderlichen Notwehr) *oder* Art. 122 gStGB (schwere oder minder schwere Gesundheitsschädigung bei Überschreitung der Grenzen der erforderlichen Notwehr). (Jei/Msh)

ბრალის გამომრიცხველი გარემოება

გერმანულ სისხლის სამართალში მისატევებელი საფუძვლები სახეზეა, თუ კონკრეტული ქმედების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული შინაარსის ისეთ ძლიერ გარდაქმნას იწვევენ, რომ ის დასჯის ღირს უმდაბლეს ზღვარსაც კი ვეღარ აღწევს, რის გამოც, კანონმდებელი, უჩვეულო მოტივირებადი მდგომარეობის გათვალისწინებით, უარს ამბობს ბრალის გამო პიროვნების გაკიცხვაზე, ანუ მიუტევებს. უმთავრესად, ერთმანეთისგან განასხვავებენ: მისატევებელ უკიდურეს აუცილებლობას (გსსკ-ის 35-ე პარაგრაფი) და აუცილებელი მოგერების ფარგლების გადაცილებას (გსსკ-ის 33-ე პარაგრაფი). მისატევებელი საფუძვლები იმ იდეას ემყარება, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ადამიანი ისეთ ზეწოლას ექვემდებარება, რომ მისგან ნორმის შესაბამისი ქცევის მოთხოვნა დაუშვებელია. მაგ., უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებებისას, შედეგის უღირსობა, ამსრულებლის მიერ დაცული სამართლებრივი სიკეთის გამო, და ქცევის უღირსობა, კონკრეტული პიროვნების მამოძრავებელი გადარჩენის მიზნის გამო, გაქარწყლდება. საკანონმდებლო დონეზე **ქართული სისხლის სამართალი** არ იცნობს მისატევებელ უკიდურესი აუცილებლობის (გსსკ-ის 35-ე პარაგრაფი) და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების (გსსკ-ის 33-ე

პარაგრაფი) მსგავს ნორმას. თუმცა, სსსკ-ის 38-ე მუხლში (სისხლისსამართლებრივი პასუხსიმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს) შეიძლება მისატევებელი საფუძვლების ძიება. სსსკ-ის 38-ე მუხლი პირდაპირ არ ასახელებს ასეთ გარემოებას, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას, მაგრამ სასამართლო ამ დროს თვითონ ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხულია, მაგ. ტრაგიკული კოლიზია. სსსკ ასევე არ იცნობს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების (გსსკ-ის 33-ე პარაგრაფი) მსგავს ნორმას. ქართული სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს უკიდურეს აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერების ფარგლებს გადაცილების ისეთ ფორმებს, რომლის დროსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შემსუბუქებულია და არა გაუქმებული, მაგ. სსსკ-ის 113-ე მუხლი (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) და სსსკ-ის 122-ე მუხლი (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით). (Jei/Msh)